



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აზუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 554
10/08/2018

554-09-4-201808101025



ბრძანება

კურორტ ბეშუმში თორნიკე შანთაძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 23.14.35.446) საცხოვრებელი სახლის (დასასვენებელი კოტეჯი) მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ

მიმდინარე წლის 03 ივლისს დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ელეიძეებში მცხოვრებ თორნიკე შანთაძის №6736/09 განცხადება კურორტ ბეშუმში მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 23.14.35.446) საცხოვრებელი სახლის (დასასვენებელი კოტეჯი) მშენებლობის ნებართვის (პირველი ეტაპი-მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება) გაცემის შესახებ. მის მიერ წარმოდგენილია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII-ე თავის 37-ე მუხლით და მე-IX-ე თავით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესში დაცული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავის მოთხოვნები. გამოკვლეული იქნა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელი იყო ადმინისტრაციული აქტის მიღებისათვის და სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს თორნიკე შანთაძის მოთხოვნა და დამტკიცდეს კურორტ ბეშუმში მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 23.14.35.446) საცხოვრებელი სახლის (დასასვენებელი კოტეჯი) მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე და მე-

IX-ე თავების და ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ანზორ ცეცხლადის 2018 წლის 09 ივლისის N1571-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- 1) დაკმაყოფილდეს თორნიკე შანთაძის მოთხოვნა და დამტკიცდეს კურორტ ბემუმში მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 23.14.35.446) საცხოვრებელი სახლის (დასასვენებელი კოტეჯი) მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;
- 2) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს (ა.ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ასლ(ებ)ის გადაცემა;
- 3) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის N5) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 4) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გოჩა მელაძე



მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა